ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 17-57

13 აპრილი
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25[1] მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25[1] მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-97 დადგენილებით (ვებ-გვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი 05/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 210070000.35.101.016112) დამტკიცებულ წესში შევიდეს ცვლილება და მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებელი შეადგენს:

ა) II კლასის შენობა-ნაგებობებისთვის ან/და შენობა–ნაგებობებისთვის, რომლის საერთო სამშენებლო ფართი არ აღემატება 300 m^2–ს:

ა.ა) ერთჯერადი შემოწმება – 300 ლარი;

ა.ბ) ორი შემოწმება ერთი კალენდარული წლის ვადაში – 700 ლარი;

ა.გ) ოთხი შემოწმება ორი კალენდარული წლის ვადაში – 1500 ლარი;

ბ) III კლასს მიკუთვნებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობით 1500 m^2 - მდე და მიწის ზედაპირიდან 14მ–მდე სიმაღლის შენობა–ნაგებობისთვის:

ბ.ა) ერთჯერადი შემოწმება – 2000 ლარი;

ბ.ბ) ორი შემოწმება ერთი კალენდარული წლის ვადაში – 3000 ლარი;

ბ.გ) ოთხი შემოწმება ორი კალენდარული წლის ვადაში - 6000 ლარი;

გ) III კლასის შენობა-ნაგებობებისთვის ან/და შენობა–ნაგებობებისთვის, რომლის საერთო სამშენებლო ფართი არ აღემატება 6000 m^2 -ს, გარდა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობისა:

გ.ა) ერთჯერადი შემოწმება – 4500 ლარი;

გ.ბ) ორი შემოწმება ერთი კალენდარული წლის ვადაში – 6000 ლარი;

გ.გ) ოთხი შემოწმება ორი კალენდარული წლის ვადაში – 8000 ლარი;

დ) IV კლასის შენობა-ნაგებობებისთვის ან/და შენობა-ნაგებობებისთვის, რომლის საერთო სამშენებლო ფართი აღემატება 6000 m^2 -ს:

დ.ა) ერთჯერადი შემოწმება – 7000 ლარი;

დ.ბ) ორი შემოწმება ერთი კალენდარული წლის ვადაში – 9000 ლარი;

დ.გ) ოთხი შემოწმება ორი კალენდარული წლის ვადაში – 12000 ლარი.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

განმარტებითი ბარათი

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25[1] მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის შემოღების, მოსაკრებლის გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-97 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

პროექტის მიხედვით იცვლება „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25[1] მუხლით გათვალისწინებული მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების მოსაკრებლის ოდენობები, კერძოდ:

III კლასს მიკუთვნებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობით 1500 m^2-მდე და მიწის ზედაპირიდან 14მ-მდე სიმაღლის შენობა-ნაგებობისთვის ერთჯერადი შემოწმება განისაზღვრება 2000 ლარით ნაცვლად 700 ლარისა, ორი შემოწმება ერთი კალენდარული წლის განმავლობაში 3000 ლარით ნაცვლად 1000 ლარისა, ოთხი შემოწმება ორი კალენდარული წლის განმავლობაში 6000 ლარით ნაცვლად 2000 ლარისა;

III კლასის შენობა-ნაგებობებისთვის ან/და შენობა–ნაგებობებისთვის, რომლის საერთო სამშენებლო ფართი არ აღემატება 6000 m^2-ს, გარდა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობისა: ერთჯერადი შემოწმება განისაზღვრება 4500 ლარით ნაცვლად 1500 ლარისა, ორი შემოწმება ერთი კალენდარული წლის განმავლობაში 6000 ლარით ნაცვლად 2000 ლარისა, ოთხი შემოწმება ორი კალენდარული წლის განმავლობაში 8000 ლარით ნაცვლად 2500 ლარისა;

IV კლასის შენობა-ნაგებობებისთვის ან/და შენობა-ნაგებობებისთვის, რომლის საერთო სამშენებლო ფართი აღემატება 6000 მ2-ს: ერთჯერადი შემოწმება განისაზღვრება 7000 ლარით ნაცვლად 2000 ლარისა, ორი შემოწმება ერთი კალენდარული წლის განმავლობაში 9000 ლარით ნაცვლად 2500 ლარისა, ოთხი შემოწმება ორი კალენდარული წლის განმავლობაში 12000 ლარით ნაცვლად 3500 ლარისა;

წარმოდგენილი პროექტით არსებული მომსახურების საფასურის ოდენობები იზრდება, ვინაიდან გაიზარდა შესაბამისი კლასის შენობა-ნაგებობებზე პროექტის დარღვევით მშენებლობის წარმოებისათვის საჯარიმო თანხები.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება: პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები): ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.